PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **ირმა მეგრელიძე**
წევრები: **იაზონ დანელია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 10 დეკემბერს გამოცემული №1353917 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ზემოაღნიშნული შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან - პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და პროგრამისთვის გათვალისწინებული აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციები, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია, შეაჯერა განხილული საკითხები და ასევე შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარმართვისთვის შეხვედრის განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. შეხვედრის განრიგის თანახმად, ექსპერტების ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა 2021 წლის 22 დეკემბერს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, დაბა თიანეთის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელს. ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ ზოგიერთ პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ასევე ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელ პირებთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს დაბა თიანეთის კორპუსის შენობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ფართის ჩვენება და ბიბლიოთეკის დათვალიერება დისტანციურ რეჟიმში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

კოლეჯს საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ის დაფუძნდა პირველ სასოფლო - სამეურნეო სკოლის ბაზაზე, სადაც იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი წესდებით და ნიკო ცხვედაძის მიერ შემუშავებული პროგრამებით იმთავითვე გაცნობიერებული იყო სწავლაში თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელობა.

კოლეჯი მრავალპროფილურია, აქვს უნიკალური შესაძლებლობა ადგილზე სწავლებისა და პროგრამების დუალური მიდგომით განხორციელების. კოლეჯის ერთ-ერთი ღირებულებაა შრომის ბაზარზე ორიენტირებულობა და მისი საქმიანობა ამის ნათელი მაგალითია.

ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების ხელშეწყობით კოლეჯი ინტენსიურად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის სასწავლო-შემეცნებითი თუ შემოქმედებითი სახის პროექტებს. ახალი მოდულური პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი / ხელშესახები ფაქტორია.

პროექტებში ჩართულობით პროფესიულ სტუდენტს ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებისთვის ადგილზევე შეუძლია უნარების გამყარება. კონკრეტულად ახალი პროგრამის სტუდენტებს შეეძლებათ თემატური ღონისძიებ(ებ)ის მოწყობა, რის საშუალებას კოლეჯის ღია სივრცეც იძლევა. ამავდროულად, შესრულებული პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება - გაშუქების უზრუნველყოფით, დამატებითი ცოდნის გაფართოების და ახალი კონტაქტების დამყარების შანსიც აქვთ. შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა პროგრამების სტუდენტებთან ერთად შესაძლებელია სეზონურად დაიგეგმოს და განხორციელდეს სხვადასხვა მასშტაბის პრეზენტაციები, ოქროს შემოდგომა და ა.შ.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში წინა ვიზიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. ყველა რეკომენდაცია დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს. ქვემოთ ცხრილის სახით წარმოდგენილია წინა ვიზიტებზე გაცემული რეკომენდაციები შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

N	წინა ვიზიტების ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია	რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულება
1	ინდიკატორი 2.1.1.(6) - კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 მარტის N04-31 ბრძანებით დამტკიცებულ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ პროგრამაში მიეთითოს ცვლილების შესახებ ინფორმაცია, დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N04-51 ბრძანების შესაბამისად.	დანართი 4 - დოკუმენტი N1
2	ინდიკატორი 2.2.1. (5) - პროფესიულ დარგობრივ მოდულებში მითითებული ლინკები გასწორდეს ისე, რომ მათი გახსნა იყოს შესაძლებელი.	დანართი 4 - დოკუმენტი N2
3	ინდიკატორი 2.3.1. (1) - საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგოს კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შეფასების მექანიზმები. დაწესებულებამ დანერგოს შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასების და განხორციელების ინსტიტუციური მექანიზმები.	დანართი 4 - დოკუმენტი N3
4	ინდიკატორი 2.1.1.(6) - კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N04-13 ბრძანებით დამტკიცებულ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ პროგრამაში მიეთითოს ცვლილების შესახებ ინფორმაცია, დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N04-50 ბრძანების შესაბამისად.	დანართი 4 - დოკუმენტი N4
5	ინდიკატორი 2.2.1. (1) - სასტუმრო ,,ლმ ქლაბთან“ გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაიწეროს პრაქტიკის ობიექტზე გატანილი მოდულების დასახელებები. მემორანდუმს დანართის სახით დაერთოს ობიექტზე გატანილი მოდულების სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი.	დანართი 4 - დოკუმენტი N5
6	2.1.1.6. - კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 მარტის N04-31 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში „აღმზრდელი“ მიეთითოს ცვლილების შესახებ ინფორმაცია, დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N04-51 ბრძანების შესაბამისად	დანართი 4 - დოკუმენტი N6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ვიზიტის პერიოდში ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.

- „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულში გამოჩნდეს თუ რა წილი უჭირავს თითოეულ საგანს, ანუ რომელ საგანზე რამდენი კრედიტია მინიჭებული.
- გადაიხედოს და ჩასწორდეს ტექნიკური უზუსტობები დაწესებულების ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესში“.

2.2.1.

- სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახლად აყვანილი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდეს ტრენინგი სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

2.3.1.

- გადაიხედოს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი,“ რათა ჩასწორდეს დუბლირებული საკითხები მარეგულირებელ დოკუმენტებში.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფილიალების რაოდენობიდან გამომდინარე, დაამატოს ხარისხის მართვის სპეციალისტის საშტატო ერთეული და შექმნას ხარისხის მართვის სამსახური.

2.4.1.

- გაიმიჯნოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რათა მარტივად მოხდეს სასწავლო გრაფიკის/ცხრილის შედგენა, როგორც ინტეგრირებულ, ასევე არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში;
- ინტეგრირებული სასსწავლო გეგმა განაწილდეს 3 სასწავლო წელზე, რათა სტუდენტებისათვის გათვალისწინებული იქნას არდადეგები და დასვენების დღეები. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამის სწავლება რეალურად გაგრძელდება 4 წელს. შესაბამისად ისეთი შემთხვევები, როგორიცაა კვირეული დატვირთვა 18-20 საათი აღმოიფხვრება;
- ინტეგრირებული სასწავლო გეგმით გამოჩნდეს „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის საკონტაქტო საათების კვირეულ დატვირთვაში როგორაა გადანაწილებული მოდულში შემავალი საგნები - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფია;
- ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული მოდულების სწავლება ერთდროულად იწყება, სასურველია თუნდაც ერთი მოდული - „მეცნიერება და ტექნოლოგიის“ განხორციელება დაიწყოს სწავლის დაწყებიდან ერთ ან ორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თვეში, რადგან სწავლების პირველ თვეებში მეტი ყურადღება გამახვილდეს დარგობრივ მოდულებზე, სტუდენტები უფრო მეტად გაეცნონ მომავალ პროფესიას.

2.4.2.

- სტუდენტთა შეფასების პროცესები იყოს აღწერილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, ხოლო ვერიფიკაციის პროცესები „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“.
- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართული იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო ვერიფიკაციის პროცესში დარგის სხვა სპეციალისტი, ეს იქნება დარგის სხვა მასწავლებელი თუ წარმომადგენელი დამსაქმებელი ორგანიზაციიდან.
- პასუხისმგებელმა პირმა სისტემატურად ჩაატაროს შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან შეფასების სისტემის გაცნობის მიზნით.
- დაწესებულებამ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენოს პროგრამების განვითარების კუთხით. კერძოდ; ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის ბრძანება N04-31 15.03.2021 ცვლილება - კოლეჯის დირექტორის ბრძანება N04-126 29.10.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	დაბა თიანეთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	დაბა თიანეთი - მოდულური სწავლება - 20 სტუდენტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eusoft Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N 04-111 (2018 13.12.2019), ცვლილება N04-191 06.10.2020. აღნიშნული წესის შესაბამისად პროგრამის დამატების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი და/ან რეესტრის წარმოების სპეციალისტის მოკვლევის შემდეგ ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის დირექტორს პროგრამების დამატების შესახებ, რის შემდგომ კოლეჯის დირექტორი ინიციატივის განიხილავის შემდეგ გამოცემს ინდივიდუალური სამართლებრივ აქტს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფში განისაზღვრება: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები; პროგრამების შემუშავების ჯგუფის ხელმძღვანელი არის სასწავლო პროცესის მენეჯერი. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდება პროგრამა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით. დოკუმენტში აღწერილია პროგრამაში ცვლილებების შეტანის, პროგრამის გაუქმების პროცედურები, როგორ ხორციელდება პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა და ა.შ.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების შესახებ დაბა თიანეთში, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, რომელიც წარმოდგენილია კოლეჯის მიერ და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით 2020-2021 წლის პერიოდში, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ, განხორციელდა შრომის ბაზრის ანალიზი სხვადასხვა კვლევებსა და ანგარიშების მოკვლევაზე დაყრდნობით. კოლეჯმა შრომის ბაზრის მიმოხილვითი ანალიზის დროს იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით. აღნიშნული ანალიზი მოიცავს დასაქმების საიტებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების შესწავლასაც, რომლის თანახმადაც, 2019 წელს დასაქმების ერთ-ერთ აქტუალურ საიტზე, HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობამ 64 ათასამდე შეადგინა. გამოცხადებული ვაკანსიების დიდი ნაწილი სამუშაოს მაძიებლისგან პროფესიულ განათლებას ითხოვს. კვლევამ აჩვენა, რომ 2019 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების მიხედვით მაღალია მოთხოვნა IT ტექნიკოსებზე, კერძოდ: კომპიუტერული ქსელების ტექნიკოსებზე (629) და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

მხარდაჭერის ტექნიკოსებზე (427). ამ კვლევებთან ერთად დაწესებულება იყენებს მის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებსაც.

კოლეჯი არის მრავალპროფილიანი და ამიტომ შერჩეული პროგრამა მიესადაგება კოლეჯის მისიას - მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020 დამტკიცებულ „2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაში“ პირველი სტრატეგიული მიზანის „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება“ ამოცანაა „მოთხოვნადი და რეგიონზე მორგებული პროგრამების დამატება მოდულური და დუალური მიდგომით“. დასაბუთება ეფუძნება სტრატეგიულ გეგმასაც.

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ და 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობების“ შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის, ხოლო საბაზო განათლება - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ფარგლებში (შემდეგში - ინტეგრირებული პროგრამა).

დაწესებულებას გაწერილი აქვს ჩარიცხვის პროცედურა, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების შესაბამისად. ექპერტებმა ვიზიტის დროს გადაამოწმეს "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N04-69 12.07.2021 წლის ბრძანებით, აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება პროგრამებზე შერჩევის პროცედურები და იგი კანონმდებლობის შესაბამისია.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით, რომელშიც ცვლილება განხორციელდა N04-12 14.02.2019 ბრძანებით. აღნიშნული მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასწავლო გარემოებების აღწერას, კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას, პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებას. <u>აღნიშნული წესსში არის ტექნიკური უზუსტობები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს განვითარების გეგმა, რის საფუძველზეც გეგმავს მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვას</u>. ამ წესის შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული აქვს დაბა თიანეთის დამატებითი სასწავლო კორპუსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული) „პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“. პროგრამისთვის აღნიშნულ მისამართზე გამოყოფილია 1 A გარემო, ერთი B სასწავლო გარემო 10-10 პროფესიული სტუდენტისთვის და 2C სასწავლო გარემო ინტეგრირებული მოდულებისათვის (10 პროფესიული სტუდენტისათვის გამოყოფილი სამუშაო ადგილით). პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, რომელიც უზრუნველყოფს 10-10 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას აღნიშნული პროგრამისთვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში. გადამოწმებით დგინდება, რომ დაწესებულებას შეუძლია განახორციელოს მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობიოს სტუდენტთა სწავლება- 20 პროფესიული სტუდენტი, მ. შ. 10 ინტეგრირებულ პროგრამაზე.

<u>**დაწესებულებას მიეც განმავითარებელი რეკომენდაცია:**</u>

<u>გადაიხედოს და ჩასწორდეს ტექნიკური უზუსტობები დაწესებულების ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესში“.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თუ რამდენად რელევანტურია პროგრამაში/მოდულში მითითებული რესურსი სწავლის შედეგების მისაღწევად. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ადეკვატურია სწავლის შედეგებთან მიმართებაში, მითითებული ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-31 15.03.2021, (ცვლილება 22.12.2021 წლის N 04-167). პროგრამის დამტკიცებაზე დაწესებულების უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი ‘’სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ წესის შესაბამისად (მუხლი 2 პუნქტი 6).

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან „ინფორმაციის ტექნოლოგია“, რომლის საფუძველზეც შემუშავდა არსებული პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავების სამართლებრივი საფუძველია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტი და 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი, სავალდებულო და ინტეგრირებული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები (მ. შ. ინტეგრირებული პროგრამისთვის) ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტია, კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტია. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 148 კრედიტია, კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 178 კრედიტია.

<u>განმავითარებელი რეკომენდაციები:</u>

- <u>„მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულში გამოჩნდეს თუ რა წილი უჭირავს თითოეულ საგანს, ანუ რომელ საგანზე რამდენი კრედიტია მინიჭებული.</u>

პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა) - **„სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 04-111 (2018 13.12.2019), ცვლილება N04-191 06.10.2020;**
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება - **პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**
- საგანმანათლებლო პროგრამა **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს- **სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი”**;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო - **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019) (ცვლილება 04-34 15.03.2021)**
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი - **დაწესებულების დირექტორის ბრძანება N04-31 15.03.2021 და ცვლილების ბრძანებაN 04-167 122.22.20**
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის 12.02.2021 წლის N04-08 ბრძანება.
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020 დამტკიცებული „2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა“;
- კოლეჯის დიტექტორის 2021 წლის ბრძანებით N04-69 12.07 დამტკიცებული **"პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“,**
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები. **კერძოდ; ხარისხის მენჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებლებთან.**

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციურად გადაამოწმა რამდენად ადეკვატურია პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიიღწევა კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით. კოლეჯი აღჭურვილია ინტეგრირებული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსით, რაც დასტურსდება შესაბამისი დოკუმენტაციითა და დისტანციური დათვალიერებით; N201 აუდიტორია გამოიყენება „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის დარგობრივი მოდულების სწავლებისთვის 10 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტებისთვის. ინტეგრირებული მოდულისთვის „მეცნიერება და ტექნოლოგია“ გამოყოფილია სასწავლო ლაბორატორია, ამ მოდულში შემავალი ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის საგნებისათვის. ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში დისტანციურად, ელექტრონული პლათფორმის საშუალებით გადაამოწმეს აღნიშნული პროგრამისთვის გამოყოფილი სასწავლო გარემო, შეისწავლეს პროგრამის აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები და დაადგინეს, რომ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია 20 სტუდენტის მიღება. აქედან 10 ინტეგრირებული და 10 არაინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა განვითარების გეგმა, რადგან განაცხადის შეტანის დროს ვერ მოასწრო პროგრამის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა, თუმცა ვიზიტის დროს უკვე შეძენილი დაგვხვდა აღჭურვილობის ნაწილი, რაც დასტურდება დისტანციური დათვალიერებით და მიღება-ჩაბარების აქტებით #83-(2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10 ;11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21; 22; 23; 24; 25; 26; 27; 28; 29; 30; 31; 32; 33; 34; 35; 36; 37; 38; 39; 40; 41; 42; 43; 44; 45; 46; 47; 48) დარჩენილი ნაწილის შესყიდვის მიზნით უკვე არსებობს გაფორმებილი ხელშეკრულებები: N55; 197; 229; 208; 220/2; 136; 228;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N320702/03/181 შპს „ელექტროლუქსთან“, რის საფუძველზეც მეორე მხარე იღებს ვალდებულებას კოლეჯი მოამარაგოს პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით. მოწოდების შემდეგ სასწავლო გარემოში განთავსდება პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სიმძლავრის კომპიუტერები, ხოლო დანარჩენი საჭირო აღჭურვილობა (კომპიუტერების გარდა ყველა საჭირო ინვენტარი) უკვე კოლეჯშია მობილიზებული.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიულ მასწავლებლებთან. პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია 2021 წლის 12 თებერვლის N04-08 ბრძანებით და მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება N225. ხელშეკრულებები გაფორმებულია ინტეგრირებული მოდულების განმახორციელელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან და დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. მათი დატვირთვა და რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ექსპერტთა ჯუფმა განახორციელა 3 დარგის და 3 ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელ პირთან დისტანციური გასაუბრება. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პირები აყვანილია კონკურსის წესით.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის №04-40 (31.08.2015) ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“ (ცვლილება 23.04.2021 წლის N04-54 ბრძანება), რომლის მე-7 მუხლის 5 პუნქტში წერია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლება და პროფესიული ან უმაღლესი განათლება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ან გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, შესაბამისი მიმართულებით ან/და შესაბამისი მიმართულებით მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება. ხოლო, მე-6 პუნქტში არის ჩანაწერი, რომ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შესაძლებელია დადგინდეს პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის დამატებითი მოთხოვნები. დაწესებულებას ცალკე აქვს შემუშავებული და დირექტორის N04-69 ბრძანებით დამტკიცებული „ინტეგრირებული პროგრამის მოდულებზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. ექსპერტებმა გადაამოწმეს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრმაში ჩართული თითოეული მასწავლებელის პირადი საქმე. პროგრამის მიზნებისთვის აყვანილ ყველა პირს აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება. დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი ორი პროფესიული მასწავლებელი უკვე მუშაობს კოლჯში პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსით რამდენიმე წელი, ერთი ახალი მასწავლებელი აყვანილია ხელშეკრულებით, <u>რომელსაც სჭირდება მოდულების სწავლების მეთოდებში ტრენინგების გავლა.</u> ვიზიტის პერიოდში განხორციელდა გასაუბრება განმახორციელებელ პირებთან, უმრავლესობას აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პირები აყვანილია კონკურსის წესით, აკმაყოფილებენ დირექტორის N04-69 ბრძანებით დამტკიცებული „ინტეგრირებული პროგრამის მოდულებზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს“ და გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები.

დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ CISCO-ს სერტიფიკატი პროგრამაში IT essentials, რაც შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას შესთავაზოს სტუდენტებს CISCO-ს პლათფორმაზე გაეცნონ სასწავლო მასალებს. რაც თავის მხრივ ზრდის სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხს. გასაუბრების დროს ხარისხის სპეციალისტმა და პროფესიულმა მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ დარგობრივი მიმართულების პროფესიული მასწავლებლები გადიან CISCO CCNA სასწავლო კურსს. ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი პირები დამატებით გადიან შესაბამის ტრენინგებს, თუმცა,

<u>**დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია:**</u>

<u>სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახლად აყვანილი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდეს ტრენინგი სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N04-08 ბრძანებით დანიშნული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. მისი უფლება–მოვალეობები განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-75 (28.05.2020) დამტკიცებული სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის წესის მე–2 მუხლით. პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. ექსპერტებმა შეამოწმეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და გაესაუბრნენ მას. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას დაადასტურა მისი ჩართულობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში. იგი იცნობს პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს, თუმცა ხარისხის მართვის მენეჯერმა განაცხადა, რომ დამატებით გეგმავს პროგრამების ხელმძღვანელთა გაძლიერების მიზნით ტრენინგებს. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ იგი მზადაა უხელმძღვანელოს პროფესიულ პროგრამას და შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნულ პირს აქვს პსდ-ში პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პირი პროგრამას ხელმძღვანელობს წინამძღვრიანთკარისა და დაბა თიანეთის ფილიალებში.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5.დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, საგანმანათლებლო რესურსები არსებობს, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია ლეპტოპები და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მიწოდება, შესაბამისად პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საგანმანათლებლო რესურსებით ადგილზე ან ამობეჭდონ და გაიტანონ. ექსპერტთა მიერ დისტანცუირად შემოწმდა სასწავლო რესურსი, როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი და ინტეგრირებული მოდულებისთვის. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს N04-40 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“. (დანართი №2. ცვლილება 04-71 (22.05.2020); ცვლილება 04-115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

(15.07.2020)). ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დისტანციურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით განსაზღვრული წიგნადი ფონდი დარგობრივი, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულებისთვის. ექსპერტები გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს ემსახურება სახელმძღვანელოების ქსეროქსით უზრუნველყოფაში. ბიბლიოთეკარმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ ელექტორნული სასწავლო რესურსი არსებობს სტუდენტთა კომპიუტერებში და მათ შეუძლიათ ბიბლიოთეკაში მისვლის გარეშეც ისარგებლონ არსებული რესურსით.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. კოლეჯი ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვისა და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფისთვის. შშმ და სსსმ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით. შშმ და სსსმ სტუდენტებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, შესაბამისად, სსსმ სტუდენტებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. დაწესებულების, კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 15.03.2021წლის N04-34 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით," განსაზღვრულია ინდივიდუალური გეგმის შექმნის პირობები. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი აქვს ორი ტიპის ბიუჯეტი არაინტეგრირებული და ინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის. ბიუჯეტით იკვეთება, რომ პროგრამა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით, რაც გასაუბრების დროს ადმინისტრაციამაც დაადასტურა. შესაბამისად პროგრამის განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. ბიუჯეტში წარმოდგენილია ხარჯების სახეობა. კერძოდ, მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საშუალების ცვეთა, დიპლომების ბეჭდვა, რეკლამის ხარჯი, სტუდენტების მხარდაჭერის ხარჯი (კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, სტუდენტთა კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები და სხვა) და სხვა ხარჯი (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა).

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ,
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, პროგრამისთვის გამოყოფილი მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობისფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროგრამისათვის გამოყოფილი მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობის დათვალიერება;
- პარტნიორთან გაფორმებული მემორანდუმი - დ/თიანეთის რესურსცენტრი;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტები;
- პროგრამის აღჭურვილობის შესყიდვის მიღება-ჩაბარების აქტები #83-(2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10 ;11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21; 22; 23; 24; 25; 26; 27; 28; 29; 30; 31; 32; 33; 34; 35; 36; 37; 38; 39; 40; 41; 42; 43; 44; 45; 46; 47; 48);
- გაფორმებილი ხელშეკრულება N55; 197; 229; 208; 220/2; 136; 228
- პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცების 2021 წლის 12 თებერვლის N04-08 ბრძანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- 2015 წლის 31 აგვისტოს N04-40 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 11.03.2019. ბრძანებით N04-26 (ცვლილება 21.12.2021წლის N04-164 ბრძანებით), რომელზე დაყრდნობითაც განახორციელებს პროგრამის შეფასებას, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. ეს მექანიზმი გაწერილია ხარისხის ციკლის (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე) მიხედვით და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისგან, დამსაქმებლებისგან, პროფესიული სტუდენტებისგან და პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან. დაწესებულებაში ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და ვერიფიკაციის ჯუფის მიერ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. დოკუმენტში არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წარმოდგენილი დაინტერესებულ მხარეთა კითხვარები, თუმცა არაა გაწერილი პროგრამის შეფასების პროცედურები და შესაბამისად როგორ განხორციელდება შემდგომი პროცესები - ცვლილებები პროგრამაში გაუმჯობესების მიზნით (მაგ; თემატიკის გამრავალფეროვნება, სასწავლო მეთოდების შეცვლა, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება, სასწავლო რესურსის შეცვლა, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლა და სხვა), პროგრამის გაუქმება და ა. შ. „პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარება“ ეს თავი მოცემულია დირექტორის N ბრძანებით 04-111 (2018 13.12.2019) დამტკიცებულ ცვლილება N04-191 06.10.2020 დოკუმენტში - ‘’სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“. აღნიშნულ დოკუმენტებში გვხვდება დუბლირებული საკითხები.

ხარისხის მენეჯერმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ატარებს სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პარტნიორი საწარმოების, თანამშრომლების და ა. შ. გამოკითხვას „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“ დამტკიცებული კითხვარებით. კითხვარის ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პროგრამის შეფასება. ხშირ შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შეფასებაში და ინიცირების წერილით შემოდის კოლეჯის დირექტორის სახელზე პროგრამაში ცვლილებების შესახებ. კოლეჯში დირექტორის 23.11.2020 წლის N04-219 ბრძანებით შექმნილია „მოდულური პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი“, ამავე ბრძანებით განსაზღვრულია ჯგუფის საქმიანობა. ჯგუფს ხელმძღვანელობს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

<u>**დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია:**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი," რათა ჩასწორდეს დუბლირებული საკითხები მარეგულირებელ დოკუმენტებში, თუმცა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის დამტკიცებული გეგმა, სადაც გათვალისწინებულია აღნიშნული საკითხის დარეგულირება (იხ. დანართი 2 და დანართი 3);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფილიალების რაოდენობიდან გამომდინარე, შექმნას ხარისხის სამსახური და დაამატოს ხარისხის მართვის სპეციალისტის საშტატო ერთეული.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)" დოკუმენტის მიხედვით, განსაზღვრულია პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და განვითარების წესი. პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს - ინფორმაციის შეგროვება, ინფორმაციის დამუშვება, გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა, რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებების განხორციელება. ექსპერტთა ჯგუფმა ხარისხის მართვის მენეჯერს სთხოვა წარმოედგინა ერთი მაგალითი, თუ როგორ შეაფასეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და გაანალიზების შედეგად რა ცლილებები განახორციელეს. დაწესებულებამ წარმოადგინა „სატყეო საქმის" პროგრამის შეფასება და შედეგად მომზადებული 06/12/2021 წლის N1313228 შიდა ნომრით ინიცირების წერილი, რომელიც გაიგზავნა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს, პროფესიული უნარების სააგენტოს შემდგომი რეაგირების მიზნით. ამავე პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა სასწავლო რესურსების სიმწირე და შესაბამისად დაწესებულებამ სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობით შეიმუშავა სახელმძღვანელო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა) - **„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 11.03.2019. ბრძანებით N04-26 (ცვლილება 21.12.2021წლის N04-164 ბრძანებით)**
- პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები (მათ შორის საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარებით/კომპეტენციებით პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი);
- საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილების ინიცირების წერილი - **06/12/2021 წლის N1313228 შიდა ნომრით**
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები- **სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ''ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“-დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის N ბრძანებით 04-111 (2018 13.12.2019**
- განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა შესწავლილი ორთავე სასწავლო გეგმა, როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის, დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები. სასწავლო გეგმების მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. იგი აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებში ზუსტადაა გადატანილი მოდულში გათვალისწინებული საათები. ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს - 90 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს - 148 კრედიტს. არაინტეგრირებული პროგრამის მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს - 120 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს - 178 კრედიტს. <u>სასწავლო გეგმებში არაა გამიჯნული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, გასაუბრების დროს სასწავლო პროცესის მენეჯერმა განმარტა, რომ სწავლის დაწყების წინ ხორციელდება საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გამიჯვნა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უმჯობესია თავიდანვე შემუშავდეს გამიჯნული საათებით სასწავლო გეგმა. ინტეგრირებული სასსწავლო გეგმა განაწილებულია 168 კვირაზე (42 თვე) და ეს არის 3,5 ასტრონომიული წელი, კვირეული დატვირთვა ზოგჯერ ძირითადად 18-20 საათია, არ ჩანს როგორ ნაწილდება „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის საკონტაქტო საათები ამ მოდულში შემავალ საგნებზე, არ ჩანს თუ ამ მოდულის რომელი საგანის სწავლება პროგრამის რა პერიოდში შემოდის. ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლება იწყება ყველა ინტეგრირებული მოდულით, რაზეც ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სტუდენტისთვის თავიდანვე უინტერესოს გახდის პროგრამას, სასურველია ისინი ჯერ გაეცნონ დარგს და თუნდაც ერთი თვის შემდეგ შემოვიდეს ინტერგრირებული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erasor Free

<u>მოდულები:</u> ინტეგრირებული მოდულების სწავლება სრულდება პროგრამის დასრულებამდე 2 თვით ადრე, რაც მნიშვნელოვანია, რომ დადასტურების კომისიას მისცემს საშუალებას პროგრამის დასრულებამდე მომზადდეს დასკვნა, რადგან დროულად განხორციელდეს კურსდამთვრებულებზე კვალიფიკაციის მინიჭება.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა **<u>განმავითარებელი რეკომენდაციები სასწავლო გეგმებთან დაკავშირებით:</u>**

- <u>გაიმიჯნოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რათა მარტივად მოხდეს სასწავლო გრაფიკის/ცხრილის შედგენა, როგორც ინტეგრირებულ, ასევე არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში;</u>
- <u>ინტეგრირებული სასსწავლო გეგმა განაწილდეს 3 სასწავლო წელზე, რათა სტუდენტებისათვის გათვალისწინებული იქნას არდადეგები და დასვენების დღეები. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამის სწავლება რეალურად გაგრძელდება 4 წელს. შესაბამისად ისეთი შემთხვევები, როგორიცაა კვირეული დატვირთვა 18-20 საათი აღმოიფხვრება;</u>
- <u>ინტეგრირებული სასწავლო გეგმით გამოჩნდეს „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის საკონტაქტო საათების კვირეულ დატვირთვაში როგორაა გადანაწილებული მოდულში შემავალი საგნები - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფია;</u>
- <u>ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული მოდულების სწავლება ერთდროულად იწყება, სასურველია თუნდაც ერთი მოდული- „მეცნიერება და ტექნოლოგიის“ განხორციელება დაიწყოს სწავლის დაწყებიდან ერთ ან ორ თვეში, რადგან სწავლების პირველ თვებში მეტი ყურადღება გამახვილდეს დარგობრივ მოდულებზე, სტუდენტები უფრო მეტად გაეცნონ მომავალ პროფესიას.</u>

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2. დაწესებულებას კოლეჯი დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 17.12.2021წლის N 04-163 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის“ მე-2 თავში განსაზღვრულია „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის წესი, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი“. დოკუმენტის მე-3 თავში გაწერილია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი“, მე-4 თავი „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა“.

სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პანდემიიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი გადაყვანილი იქნა დისტანციურ სწავლებაზე და წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება (07.12.2020 წლის N04-234 ბრძანება). განხორციელდა სტუდენტების დახმარებაც, რამდენიმე მათგანს გადასცეს ლეპტოპები დროებითი სარგებლობისთვის. დაწესებულებას გააჩნია საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის.

დაწესებულებას ჰყავს ერთი ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც მუშაობს სოფელი წინამძღვრიანთკარის მისამართზე არსებულ ფილიალში. ადმინისტრაციამ გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ სხვა ფილიალებში სჭიროების შემთხვევაში აიყვანებენ ინკლუზიური განათლების სპეციალისტს, როგორც შტატგარეშე თანამშრომელს.

პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, რაც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადმზადების მიზნით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და კოლეჯის ადმინისტრაციის შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში. ექსპერტთა მიერ დისტანციურად გადამოწმდა სასწავლო გარემო. პროგრამის შესაბამისი სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია თანამედროვე ხელსაწყოებითა და ინვენტარით. ყველა სასწავლო გარემოში არსებობს ამ გარემოს შესაბამისი ინვენტარი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 14.02.2019 წლის ბრძანებით N04-12 (ცვლილება 15.03.2021 წლის N04-32 ბრძანებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღნიშნული რეგულაციით პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის შემუშავებულია კალენდარული გეგმის შემუშავების მიდგომები და პროცედურები.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. დაწესებულებას კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 17.12.2021წლის N 04-163 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა და აღწერილია თუ რა შემთხვევაშია საჭირო აღნიშნული გეგმის შემუშავება. დაწესებულებამ წარმოადგინა ინდივიდულური სასწავლო გეგმის მაგალითი, რომელიც შედგენილია სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.დაწესებულებას 01.03.2021 წელს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი N002 დაბა თიანეთის საგანმანათლენლო რესურსცენტრთან. აღნიშნულ მემორანდუმში რესურსცენტრი, როგორც სასწავლო საწარმო, იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება საკუთარ ბაზაზე. მემორანდუმში მითითებული სტუდენტთა რაოდენობა შესაბამისია პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან.

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. ყველა სასწავლო ლაბორატორიაში, სადაც მიმდინარეობს „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროგრამის მოდულები, თვალსჩინოდაა განთავსებული შესაბამის სასწავლო გარემოში სტუდენტთა მოქცევის უსაფრთხოების წესები.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელისა და სისტემები“
- სასწავლო გეგმები;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები /მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით - **01.03.2021 წელს დაბა თიანეთის საგანმანათლენლო რესურსცენტრთან გაფორმებული მემორანდუმი N002.**
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა - **დასტურდება დისტანციური დათვალიერებით;**
- განმახორციელებლებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პასუხისმგებელია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებაში შეფასების სისტემის გამართული მუშაობა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 14.02.2019 წლის ბრძანებით N04-12 (ცვლილება 15.03.2021 წლის N04-32 ბრძანებით) დამტკიცებული „თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესით“ და 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 15.03.2021წლის N 04-34 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით“. აღნიშნული რეგულაციები ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია ვადები, სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრის გასწორება და შეფასება. შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.

რადგან დაწესებულება ახორციელებს ინტეგრირებულ პროგრამებს, შესაბამისად შემუშავებულია და 21/12/2021 წლის N04-165 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 მაისის N04-26 ბრძანებით (დანართი N1; ცვლილება N04-72 28.05.2020 დანართი N1 ცვლილება N04-189 06.10.2020; ცვლილება N04-33 15.03.2021) დამტკიცებულია „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესი. დოკუმენტში გაწერილია, რომ ვერიფიკაციის პროცესი ემსახურება დაწესებულების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, პროფესიული მასწავლებლების დახმარებას, მხარდაჭერასა და პროფესიული განვითარებას. დგინდება არის თუ არა შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოწვეული პირი, მემორანდუმით/ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, ან სხვა კომპეტენტური პირი. „თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესში“ (ბრძანება N04-12 დანართი N1 14.02.2019; ცვლილება 04-32 15.03.2021) გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებისა და ვერიფიკაციის პირობები (მუხლი 19). შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების/პროცესის ვერიფიკაციისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მიდგომები - შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა, მტკიცებულებათა შესწავლა, შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება და სხვა. კოლეჯში დირექტორის 23.10.2020 წლის N04-209 ბრძანებით შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის თავმჯდომარეა ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო ჯგუფის წევრები პროგრამის ხელმძღვანელი - დარგის სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოწვეული პირი - განათლების სპეციალისტი, პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან.

ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დაწესებულებას წარმოედგინა ვერიფიკაციის ერთი დოკუმენტი მაგალითისთვის, თუ როგორ ხორციელდება დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესი. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა ვერიფიკაციის დასკვნა „თმის სტილისტის“ პროგრამისთვის.

<u>მარეგულირებელ დოკუმენტებში, რომლებიც ითვალისწინებს შეფასების და ვერიფიკაციის პროცესებს არის დუბლირებული საკითხები, დაწესებულებულებულებას ეძლება **განმავითარებელი რეკომენდაცია:**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- <u>სტუდენტთა შეფასების პროცესები იყოს აღწერილი „სასწავლო პროპცესის მარეგულირებელ წესში“, ხოლო ვერიფიკაციის პროცესები „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“.</u>
- <u>ვალიდაციის პროცესში ჩართული იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო ვერიფიკაციის პროცესში დარგის სხვა სპეციალისტი, ეს იქნება დარგის სხვა მასწავლებელი თუ წარმომადგენელი დამსაქმებელი ორგანიზაციიდან.</u>

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3.დაწესებულებაში დირექტორის 14.02.2019 წლის ბრძანებით N04-12 (ცვლილება 15.03.2021 წლის N04-32 ბრძანებით) დამტკიცებული „თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესის“ მიხედვით რეგულირდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო უწყსი უვადოდ.

პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელებისაგან. საჭიროების შემთხვევაში პროცესში ერთვება სასწავლო პროცესის მენეჯერიც. უკუკავშირის დროს დაცულია სტუდენტის პერსონალური მონაცემები. სასწავლო პროცესის მენეჯერი ადასტურებს, რომ არ ხდება ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება. შედეგების განხილვა ხორციელდება განზოგადოებულად.

ამ მიზნით განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტთან. პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ ჩატარდა შეხვედრები შეფასებებთან დაკავშირებით, თუმცა ცოდნას შეფასების სისტემის შესახებ არ ფლობდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- პასუხისმგებელმა პირმა სისტემატურად ჩაატაროს შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან შეფასების სისტემის გაცნობის მიზნით.
- დაწესებულებამ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენოს პროგრამების განვითარების კუთხით. კერძოდ; ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის:
  ა) 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 15.03.2021წლის N 04-34 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
  ბ) 14.02.2019 წლის ბრძანებით N04-12 (ცვლილება 15.03.2021 წლის N04-32 ბრძანებით) დამტკიცებული „თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესის“
  გ) სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 17.09.2021 წ N04-97 ბრძანებით;
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები - **„ თმის სტილისტის“ პროგრამის მაგალითზე;**
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, მათ შორის, უწყისები და მტკიცებულებები;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები- **13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 15.03.2021წლის N 04-34 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“**
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განრიგი
დანართი 2. დაწესებულების დირექტორის 10/12/2021 წლის N04-152 ბრძანება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების შესახებ
დანართი 3. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
დანართი 4. წინა ვიზიტებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები

შენიშვნა:
თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილია დასკვნის პროექტთან ერთად
21.01.2022 წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: